

ლიტერატურული ტექსტი როგორც წინასწარმეტყველება Literary Text as Prophecies

Gia Arganashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Influence of Allegorical Literature on Political Processes in the Post-Soviet Georgia

In the harsh conditions of the totalitarian regime of the Soviet Union Georgian writers made use of allegorical form of expression.

However, when the Soviet Union was disintegrated and the country, like other republics decaled its independence, the literature tried to transform the acute political processes into certain schemes (biblical and mythological). Thus, it assumed prophetic function and also determined readers' political expectations.

To present the full picture there is a need for a general analysis of Georgian prose of the last decades of the last century.

Key words: Allegory, Politics.

გია არგანაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

იგავური ლიტერატურის გავლენა პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე

აზრის გამოხატვის იგავური ალეგორიზმის ფორმა მტკიცედ არის დამკვიდრებული ჩვენს ლიტერატურაში. როგორც განსახილველების ერთ-ერთ მხატვრულ ხერხი, იგი სათავეს შუამდინარული, ბაბილონური, ეგვიპტური, ანტიკური სახისმეტყველებიდან იღებს,

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა მაინც ებრაულ და ქრისტიანულ ლიტერატურულ აზროვნებში შეიძინა.

სახარებაში იგავი ორი მნიშვნელობით გამოიყენება: ერთი, რომელიც მორწმუნეთათვის საიდუმლოს გაცხადებას ისახავს მიზნად, ხოლო მეორე უსჯულოთა წინაშე საიდუმლოს დაფარვას ემსახურება.

აქედან გამომდინარე, იგავი ლიტერატურაში არა მხოლოდ ხატოვანი მეტყველების ფორმად და მხატვრული ხერხად, არამედ წინასწარმეტყველების გადმოცემის ერთგვარ სახეობადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ეს უკანასკნელნი (წინასწარმეტყველელური ტექსტები) კი, საუკუნეების განმავლობაში (ჩვენი ქვეყნის მუდმივად გაურკვეველი ბედ-იღბლის პირობებში), მკითხველში განსაკუთრებულ (უმეტესად, უქმ) ცნობისმოყვარეობას აღძრავდა და სიტყვის ოსტატებიც დიდი ხალისით ასრულებდნენ მათ დაკვეთას.

ამ პატარა ქვეყნის დიდ იმპერიებთან ბრძოლას მწერლები სიმბოლურად ყოველთვის ბიბლიური დავითის გოლიათთან ბრძოლას ადარებდნენ და ამით, ნებისთ თუ უნებლიეთ, მომავალ წარმატებას წინასწარმეტყველებდნენ.

სიკეთისა და ბოროტების ესქატოლოგიური ბრძოლის კონტექსტში იყო ყოველთვის წარმოდგენილი წმინდა გიორგის ბრძოლა გველეშაპთან, სადაც „მეფეთა უძლეველი წინამბრძოლიც“ საქართველოს უცილო გამარჯვებას აანონსებდა.

წმინდა გიორგის ამგვარი ლიტერატურული ხატება ქართულ ცნობიერებაში ანტიიმპერიულ აფექტად ჯერ კიდევ ბიზანტიასთან დაპირისპირებისას გაჩნდა, შემდეგ რუსული და საბჭოთა კოლონიალიზმის პირობებში კვლავ აღორძინდა და პოლიტიკური აზროვნების არქეტიპის მნიშვნელობა შეიძინა.

წინასწარმეტყველური ტექსტები ჩვენს საერო ლიტერატურაში, მისი განვითარების პირველ ეტაპზე, სასულიერო მწერლობის უშუალო გავლენით იქმნებოდა. თუმცა, მათგან განსხვავებით, რეალისტური მწერლობის ე.წ. „წინასწარმეტყველება“ არა ხილვას ან სიზმრისეულ ჩვენებას, არამედ მოვლენათა ლოგიკურ ანალიზს და მეცნიერულ მსჯელობას უფრო ეყრნობოდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასარულს, პოლიტიკურ-სოციალური მოვლენების გააქტიურების კვალდაკვალ, ჩვენს ლიტერატურაში

მითოლოგიური პერსონაჟის რეანიმაცია და მის ხასიათში ჩადებული თვისებების გააქტიურება დაიწყო.

ეპოქალური ძვრების ფონზე ნაციონალურმა ლიტერატურამ კვლავ წარსულს მიმართა და დავიწყებული გმირი – ამირანი შეაფხიზლა (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე). ჩვენმა კლასიკოსებმა ამ გოლიათს ეროვნული და სოციალური ჩაგვრიდან გამოხსნის ტვირთი აჰკიდეს და მომავალი გამარჯვების სიმბოლოდ წარმოუდგინეს მკითხველს. ბუნებრივია, ამ ბრძოლაში მის მემბოხური ხასიათს უნდა „ემუშავა“ და მასებში ბრძოლის სურვილი უნდა გაელვძიებინა.

მიჯაჭვული დეკაცის თავის გამოხსნა კი მართლაც სტიქიური ძალის გაღვიძებას ჰგავდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ მითოლოგიურ (უფრო კი ზღაპრულ) პერსონაჟს ამხელა ძალა და გაქანება ექნებოდა, თავისუფლების ეს „უწყინარი“ სიმბოლო თოვლის გუნდასავით აგორებულ რევოლუციურ ზვავს („უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები“ – გალაკტიონ ტაბიძე) და შურისძიების დაუოკებელ წყურვილს აღძრავდა.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქვეყნის გათავისუფლების სახეობარი იდგა კვლავაც იგავური ალეგორიზმის ფორმით მიეწოდებოდა მკითხველს. როგორც ჩანს, ამ ჟანრის ლიტერატურამ (არა მხოლოდ უშუალოდ იგავმა) თავისი მხატვრული თვისებების (ლაკონიზმი, დაფარულობა) გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და მკაცრი ცენზურის პირობებში ურთიერთობის საუკეთესო საშუალებად დაიმკვიდრა თავი. ამ პირობებში, მთელი სამოცდაათი წლის (საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდი) განმავლობაში, ქართულ საბჭოთა მწერლობას არ ჰქონია კომუნიკაციის პრობლემა საკუთარ მკითხველთან.

თუმცა დაიშალა საბჭოთა კავშირი და ჩვენმა ქვეყანამ, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლიტერატურაც შეეცადა ცხოვრების მძაფრ დინამიკას არ ჩამორჩენოდა და სათანადო აქტუალობაც არ დაეკარგა. ამისთვის მას შეეძლო, რომ ღია ტექსტებით, გახსნილად ესაუბრა მკითხველთან, თუმცა მან კვლავაც იგავური ალეგორიზმის ფორმას მიმართა. ამით კვლავ წინასწარმეტყველური ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე და მკითხველის პოლიტიკური მოლოდინებიც განსაზღვრა.

მართლაც, სამოქალაქო დაპირისპირება, საზოგადოებრივი დაბნეულობა, ქვეყნის გაურკვეველი პოლიტიკური მომავალი ყოველთვის კარგ ნიადაგს ქმნიდა, რომ ხელახლა აღორძინებულიყო წინასწამეტყველური ტექსტები და ლიტერატურას წარსულთან იგივეობის კუთხით ისევ საკრალური თემებისათვის მიემართა. ლიტერატურა ხომ ხშირად იყენებს წარსულთან შედარებით მეტოდს, რათა მისი გამეორების ალბათობა უფრო ლოგიკური გახადოს? მსგავსი პროცესები სხვადასხვა დროს ყველა ქვეყანაში (გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში) შეინიშნებოდა. სწორედ ეს ტრადიცია აღდგა, როდესაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში (მათ შორის საქართველოში) ქვეყნის მომავალი ბედ-იღბალი წინასწარმეტყველურ ტექსტებში ჩაიწერა.

საერთოდ, ქრისტიანული ლიტერატურა ყოველთვის ცდილობს, რომ კონკრეტული დრო (წამი) კაცობრიობის განვითარების ხაზს (მარადიული დრო) დაუკავშიროს. ბუნების ცვალებადობაში შეამჩნიოს უცვალეზელის ანარეკლი. ამგვარი მსოფლმხედველობა ტრადიციულად სამყაროს აღქმის ბიბლიურ მოდელს ეყრდნობა.

აქ მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიური მოვლენები როგორც ისტორიული, ასევე სულიერი თვალსაზრისით, ორ ჯგუფად იყოფა. ერთი, რომელშიც დრო სწორხაზობრივია და არ ხდება მათი გამეორება. ხოლო, მეორე, რომელშიც დრო წრიულია და მოვლენები გარკვეული დროის შემდეგ მეორდება.

წინასწარმეტყველება ორივე დროს ეხება. სიტყვა წარღვნაზე, ნოეს მიერ შვილების კურთხევა, აღთქმა მესიის მოვლინებაზე და შობა ბეთლემში, მკვდრეთით აღდგომა, ამაღლება და მომავალი მეორედ მოსვლა მხოლოებითი, განუმეორებელი მოვლენებია, კაცობრიობის ისტორიული ხაზია შექმნიდან დასასრულამდე, მომავალ ცხოვრებამდე.

ამის ფონზე ხდება მოვლენები, რომლებიც დროდადრო მეორდება. ეკლესიასტე ამბობს: „ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა... ჟამი დუმილისა და ჟამი უზნობისა, ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა, ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა“ (ეკლეს. 3.7-8.)

სწორედ ჟამთა მონაცვლეობის თვალსაზრისით, ჩვენს დროს წმიდა წერილის შემდეგი სიტყვები შეიძლება მივუსადაგოთ (ქრისტიანი მამების კომენტარი): „დაივიწყეს უფალი და ემსახურებოდნენ ბაალებს და აშთორეთებს, აღიგზნო უფლის რისხვა ისრაელიანთა

მიმართ, ხელში ჩაუგდო ისინი მძარცველებს და აძარცვინა, ხელში ჩაუგდო გარშემორტყმულ მტერს და ველარ უმკლავდებოდნენ მათ“ (მსაჯულთა 2. 13-14).

ასეთი ჟამები ერის ცხოვრებაში ხშირად ათეულობით წელს ითვლის, დიდი ხნის წინ გაცხადდა იმის დასაწყისი, რაც დღესაც გრძელდება, ხოლო მისი ფესვები უფრო ღრმად არის ჩამარხული. განმეორებად მოვლენებში დროის კონკრეტულობა მხოლოდ გარეგნულია, ფორმალური. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ მოვლენების არსებითი იგივეობა.

ალბათ, სწორედ ამგვარ „განუმეორებელ“ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისრაელის ერის ეგვიპტიდან გამოსვლა. თავად ის ფაქტი, რომ ამ გზაზე მათ თვით უფალი მიუძღვოდა წინ, ცხადად აჩვენებს, თუ რაოდენ ამბიციურია ამ „მოგზაურობაში“ საკუთარი ქვეყნის წარმოდგენა, ოცდამეერთე საუკუნის ტოტალიტარულ რეჟიმგამოვლილი ქვეყნისა, რომელსაც გაურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ისედაც ტანჯავს ცნობისმოყვარეობა და ქვეყნის აღორძინების ხილვის დაუოკებელი წყურვილი.

ბიბლიური იგავი, რომელიც მონობიდან გამოსული ხალხის უდაბნოში ხეტიალს „ავადებულებს“, პირველად ხალხში (მიტინგებზე) ფოლკლორულ გარემოში დაიბადა. ანონიმი ავტორის უსაზღვრო ფანტაზიამ ქართველი ერის ბრძოლა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ებრაელი ერის ეგვიპტიდან გამოსვლას შეუდარა. ამგვარმა ალუზიამ ჩვენს წარმოსახვაში ეგვიპტური მონობისთვის დამახასიათებელი რეკვიზიტები – უდაბნოს მანანა, ეგვიპტური ქვაბები – გააჩინა. ასევე ბუნებრივად დაიბადა ქარიზმატული წინამძღოლის (მოსეს) მოლოდინი, შეინიშნებოდა პოლიტიკური პროცესების რესაკრალიზაციის პროცესი. თუმცა, ეს ყველაფერი ხდებოდა ფოლკლორული ურთიერთობის დონეზე და ვინ წარმოიდგენდა, თუ პროფესიული ლიტერატურის წარმომადგენლები ამ „მიგნების“ გამოყენებას შეეცდებოდნენ.

ამჯერადაც, ლიტერატურამ ხალხისგან ისესხა მხატვრული იდეა და გარკვეული დამუშავების შემდეგ ის კვლავ ხალხს დაუბრუნა.

ბიბლიურმა ისტორიამ მხატვრული ტრანსფორმაცია ლიტერატურულ ტექსტებში პოვა. ამის გარდა, ზოგიერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში თითქმის სრულად აღდგა შუასაუკუნეებრივი ე.წ.

„ქადაგის“ ინსტიტუტი. მხატვრულ (ასევე პუბლიცისტურ) ტექსტში გაჩნდა მათი შინაგანი კავშირები ნაციონალურ მწერლობასთან, რაც ლიტერატურული პროცესებში ინტერტექსტუალობის დამკვიდრებასც გულისხმობდა. ყველაფერ ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მწერლის (ოთარ ჭილაძე, ირაკლი სამსონაძე, ბესიკ ხარანაული, კობა არაბული) შემოქმედების განხილვაც იკმარებდა, თუმცა სრული სურათის წარმოსაჩენად მომავალში ამ კუთხით, ალბათ, მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების ქართული პროზის ზოგადი ანალიზის აუცილებლობაც დადგება.

საერთოდ კი, კარგი იქნებოდა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა და თვით საბჭოთა პერიოდი (მიუხედავად ამდენი მსხვერპლისა), ერის მრავალათასწლიან ისტორიაში ხანმოკლე ინციდენტად ჩაგვეთვალა და ჩუმად „გამოვპარულიყავით“ მონობის უღლიდან. არ გამოგვივიდა. ხმაურით და ზედმეტი ემოციებით შევედით (თუ შეგვიყვანეს) იმპერიის შემადგენლობაში და იქიდანაც ხმაურით გვინდოდა გამოსვლა. ვერც კარი გამოვიჯახუნეთ, რადგან ანჯამები ჩამოწყდა და თავზე დაგვემხო. ეტყობა, რომ ამგვარ მასშტაბური პროცესებში ჩართვა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის სახიფათოა, რადგან შედეგების წინასწარი განსაზღვრა ძალზე რთულია..

ბიბლიაში მონაწილეობის სურვილი არ გვტოვებს (ამ მხრივ ძველი აღთქმის სიუჟეტებს უფრო ვწყალობთ) და როგორც ირკვევა, ჩვენ ისევ უდაბნოში დავხეტიალობთ. ამ მხრივ თანამედროვე ქართველ მკითხველს ლიტერატურული ტექსტების საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს), თუმცა მხატვრული თვალსაზრისითაც, ალბათ, უფრო სასიამოვნოდ დაურჩება, თუ ირაკლი სამსონაძის რომანის („ღრუბელი, სახელად დარინდა“) პერსონაჟად წარმოიდგენს თავს:

ეს რომანი, მრავალი თანამედროვე ნაწარმოების მსგავსად (ჩვენი არჩევანი აქ ძალზე პირობითია), ქართველი ერის (ბიბლიური ანალოგიით) უდაბნოში ხეტიალს ეხება. ტექსტი თორმეტი ერთმანეთის მსგავსი ბიჭის ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს (ისრაელის თორმეტი ტომი). მათ საღებავიანი ქილები შეაფრქვიეს ძეგლს (მონობის სიმბოლო) და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ... აქ, პირობითად, ავტორი მთელ ერს გულისხმობს და როგორც აღვნიშნეთ, ირაკლი სამსონაძის ეს რომანი ბიბლიურ „გამოსვლათა“ ციკლის ერთ-ერთ თანამედროვე ვერსიადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ნაწარმოების სათაურიც – „ღრუბელი, სახელად დარინდა“ – უდაბნოში ხალხის ხეტიალს გვახსენებს. თუმცა, რომანის ბოლოს დარდის ღრუბლად შეკრული დარინდა (ღრუბელი), რომელსაც თორმეტი ერთმანეთის მსგავსი ღრუბელი მიყვება კვალში და კითხვა: „სად გავწვიმდებით?“ ისევ ჩვენს რეალობაში გვაბრუნებს (სამსონაძე 2011).

მწერალი მესამე პირში წერს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორი სადღაც „გარეთ“ დგას და დისტანციურად მართავს პროცესს. მკითხველი საკუთარ თავზე იგრძნობს თუ როგორ ითრევს მას მოქმედებაში.

ჩვენ ვთქვით, რომ ამ თემაზე ირაკლი სამსონაძის რომანი სულაც არ არის გამონაკლისი. ეს პრობლემა ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში შეუნიშნავს ლიტერატურათმცოდნე ნესტან რატიანს და თავის წერილში: „ჩემი მოსწავლეების დაკვირვებები – იდენტობის კრიზისი ოთარ ჭილაძის რომანში „აველუმი“ – ბოლომდე ჩასძიებია ამ მოვლენას.

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მხატვრული ნაწარმოებების ალეგორიული ენა ნამდვილად იწვევს მკითხველის გაოცებას. ალეგორია ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, ერთპიროვნული ძალაუფლების მქონე ხელისუფლებების ბატონობის ჟამს არის აქტუალური. მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა ასეთი რეჟიმების პირობებში აკრძალულია. საფრთხე მხოლოდ ხელოვანი ადამიანების შემოქმედებას კი არა, მათ სიცოცხლესაც ემუქრება. ალეგორია თავის და აზრის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად რჩება. ისინი, ვინც ამ კომპრომისზე არ მიდიან, ეწირებიან ბოროტების იმპერიას; ვინც კომპრომისზე მიდის, ალეგორია განვითარების ახალ სიმაღლეებზე აჰყავს.

ამ მხრივ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ხელოვნება გათავისუფლდა მარწუხებისგან და ხელოვანებმაც ამოისუნთქეს. მათ საშუალება მიეცათ, სათქმელი უკვე პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეთქვათ. ოთარ ჭილაძის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. რატომ? რისი გამოთქმა აუკრძალეს მწერალს? თუ აუკრძალეს, მაშინ ვინ? მაგრამ საქმე აქ პირდაპირ აკრძალვასთან არა გვაქვს. მწერალს მიაჩნდა, მისი სათქმელი იმდენად მტკივნეული იყო, რომ ავტორისთვის, შეიძლება, არც

ეპატიებიანათ პირდაპირობა, ის კი არა, შეიძლება, მისთვის პასუხიც მოეთხოვათ ამ პირდაპირობისთვის ზუსტად ისევე თუ არა, როგორც ამას რეჟიმის პირობებში აკეთებდნენ, ანუ გადასახლებით ან დახვრეტით, არამედ მუდმივი წამოძახებით. არადა, მტკივნეული სათქმელი ოთარ ჭილაძეს ქართველებისთვის ბევრი ჰქონდა...” (რატინი 2017: 496-504).

მკვლევარი (ნესტან რატინი) ცდილობს გარკვეული ახსნა მოუძებნოს ქართული მწერლობის იგავური ტექსტებით გატაცებას, რომელიც თავისთავად წინასწარმეტყველურ დატვირთვასაც ატარებდა. თვითონ ოთარ ჭილაძე კი თვითკრიტიკულად და ირონიით ეკიდება საკუთარ შემოქმედებას, ეჭვქვეშ აყენებს ალეგორიის გამოყენებას მწერლობაში, არც ის მოსწონს, პირდაპირ რომ ვერ ამბობს სათქმელს და წვეთობით აწოდებს მკითხველს:

„იქნება მართლა ისე დამაშინა ცხოვრებამ, ტყუილს სიმართლედ ვიყენებდი, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ვტყუოდი, სიმართლე რომ არ მეთქვა, მაგრამ, პირადად მე, პირიქით მგონია, რადგან მხოლოდ სიმართლის თქმა იყო ჩემი მიზანი და არა რაიმეს თქმა ზოგადად. მით უფრო რომ, ჰონორარს ერთნაირად იხდიდა სახელმწიფო აშკარა ტყუილშიც და შენიღბულ სიმართლეშიც. ოღონდ, ტყუილის თქმა თუ უსუნდისობაა, მართლის მთქმელობა უბედურებაა – შენიღბულად, ქარაგმულად, ნამცვე-ნამცვე აპარებ შენს სიმართლეს ვიღაცას, ვისიც არ იცი სახელი და ვისი გადარჩენაც მიზნად დაგისახავს“ (ჭილაძე 2011: 28).

აქ მწერლის ახსნა სავსებით დამაჯერებელია და ალბათ, ეს ყველაფერიც დარჩებოდა კიდევ „ლიტერატურული ტექსტი როგორც წინასწარმეტყველება“ (მეცამეტე საერთაშორისო სიმპოზიუმის ერთ-ერთი სექციის სამუშაო თემა), დარჩებოდა ლიტერატურულ მოვლენად, ამ თემას თავის გაგრძელება რომ არ ჰქონდეს. წინასწარმეტყველებად გამოყენებული ბიბლიური იგავები დამოუკიდებელ მნიშვნელობას რომ არ იძენდეს და თვითონ რომ არ ასრულებდეს ამ საბედისწერო ისტორიას.

ალბათ, ყველას გვახსოვს, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი „გამოსვლა“, რომელშიც აღწერილი თუ როგორ იხეტიალა ებრაელმა ერმა ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის შემდეგ ორმოცი წელი უდაბნოში, რომ ვერცერთმა მონობაში დაბადებულმა ადამიანმა (მათ შორის, ვერც მოსემ) ვერ მიაღწია აღქმულ მიწას.

არ ვიცი რამდენად გააზრებული ჰქონდა ჩვენს მწერლებს, რომ თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტებში ამგვარი ბიბლიური სქემის გამოყენებას გაუთვალისწინებელი შედეგიც მოჰყვებოდა, რომ ახალი თაობა, რაღაც ლოგიკის ძალით, სწორედ ამ ისტორიის თანაშემოქმედად იგრძნობდა თავს და მოუთმენლად დაელოდებოდა მონობაში დაბადებული თაობის გაქრობას, რათა ამით „ივერიის გაბრწყინების“ თარიღი მოეხლოვებინა:

„როცა საბჭოთა კავშირში დაბადებული უკანასკნელი ადამიანი მოკვდება, ვინც სრულწლოვანი საბჭოთა კავშირში გახდა, მერე შეიცვლება აქ მენტალობა (არაფერი პირადული..)“.

ამგვარ სტატუსებს სოციალურ ქსელში დღეს არცთუ იშვიათად შეხვდებით. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თაობათა შორის რაღაც განსაკუთრებული მტრობა არსებობს და „შვილები“ „მამების“ სიკვდილს მოელიან, უბრალოდ, მწერალმა მკითხველს თავის წინასწარმეტყველურ ისტორიაში მონაწილეობა შესთავაზა და ისიც ბუნებრივად დაემორჩილა მხატვრული ტექსტის გავლენის ძალას .

დამოწმებანი:

რატანი 2017: რატანი ნ. „იდენტობის კრიზისი“. *კულტურათაშორისი დიალოგები. შრომები*, IV. თელავი: 2017.

სამსონაძე 2011: სამსონაძე ი. *ღრუბელი, სახელად დარინდა*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012.

ჭილაძე 2011: ჭილაძე ო. *აველუმი*. თბილისი: გამომცემლობა „არტეკ“, 2011.

Julieta Gabodze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„New Lamentations of Jeremiah“ – the Prophecy of Giorgi Chanturia

The leader of the National-Democratic Party and writer – Giorgi Chanturia entered the Georgian political arena in the 70'es of the twentieth century. The topic of the writer's contemplations is eminently no-